წყალი

დაბალი დონე



საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორი:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი

2020 წელი

წყალი

შინაარსი

წყალი - სიცოცხლეა! 3

ტბები და წყალსაცავები 5

ზღვები და ოკეანეები 6

წყლის მნიშვნელობა ადამიანისთვის 7

ღვარცოფი 12

ზვავი 13

წყალდიდობა 14

ცუნამი 15

დასკვნა 16

წყალი - სიცოცხლეა!

ჩვენ ადამიანები ვართ. ჩვენ ყოველ დღე ვჭამთ და ვსვამთ წყალს. წყლის გარეშე ადამიანი ვერ იცოცხლებს. წყლის გარეშე ვერც მცენარე იცოცხლებს. წყლის გარეშე ვერც ცხოველი იცოცხლებს. წყალი ყველას სჭირდება სიცოცხლისთვის!

ყინულიც წყალია. ღრუბელიც წყალია. წყაროც წყალია. წყალი შეიძლება იყოს მყარი, აირადი და თხევადი. წყალი გვხვდება ყველგან: წყალია მიწაზე, წყალია მიწის ქვეშ, წყალია ჰაერში, წყალია მდინარეებში, ტბებში, ზღვებსა და ოკეანეებში.

ტბები და წყალსაცავები

ტბა არის ხმელეთით გარშემორტყმული წყლის აუზი. ტბებში შეიძლება ცურვა, თევზაობა.

ზღვები და ოკეანეები

ზღვა და ოკეანე ტბაზე დიდია. ოკეანეების და ზღვების ქვეშ მიწაა. ამ მიწას ოკეანისა და ზღვის ფსკერს უწოდებენ. ზღვის ფსკერზე ბევრი ლამაზი მცენარეა.

წყლის მნიშვნელობა ადამიანისთვის

წყალი მნიშვნელოვანია ადამიანის, ცხოველისა და მცენარის სიცოცხლისთვის. წყალი სასარგებლოა. ქაღალდის მისაღებადაც. წყალი რომ არ არსებობდეს, ქაღალდად ვერ ვაქცევდით; ვერ წავიკითხავდით წიგნებს, ვერ დავწერდით რვეულში, ვერ გავაფერადებდით, ვერ დავხატავდით... ანუ, ვერც წერას შევძლებდით, ვერც კითხვას, ვერც ხატვას!

წყალს ადამიანი უამრავი საქმისთვის იყენებს. წყალი გამოიყენება სანაოსნოდ, საბანაოდ და სათევზაოდ. ადამიანები ნავით დასეირნობენ მდინარეებში, ტბებსა

და ზღვებში. ასევე, ბანაობენ ტბებში, მდინარეებში, ზღვებში, ოკეანეებში. თევზაობენ მდინარეებში, წყაროებში, ნაკადულებში, ტბებში, ზღვებსა და ოკეანეებში...

წყალი გამოიყენება გადაადგილე-ბისთვის. ადამიანებმა დიდი ხნის წინ

დაიწყეს წყლის გამოყენება გადა-
საადგილებლად. წყალი გამოიყენება
აგრეთვე ნივთების და საგნების
გადასატანად. ანუ წყალი ტრანს-
პორტირებისთვის გამოიყენება.

მდინარეები, ზღვები და ოკეანეები
გამოიყენება ტრანსპორტირებისთვის.

სახლში ტელევიზორს ვუყურებთ ან უთოს ვხმარობთ, ზოგს კომპიუტერიც აქვს, მაცივარიც ან უბრალოდ - ნათურა გვაქვს ანთებული გასანათებლად. სახლში ნათურას, მაცივარს, ტელევიზორს, უთოს, კომპიუტერს დენი, ანუ ელექტროენერგია სჭირდება. ელექტროენერგიის მისაღებად წყალი გამოიყენება.

ალბათ ყველას გიყვართ ხილი და ბოსტნეული. ხილი და ბოსტნეული რომ მოიყვანონ, წყალია საჭირო.

ზაფხულში დიდი სიცხის გამო ხშირად ჩნდება ხანძარი. ხანძრის ჩასაქრობადაც წყალი გამოიყენება.

წყალს უამრავი სარგებელი მოაქვს, მაგრამ ზოგჯერ წყალი საშიშია და სტიქიადაც იქცევა. სხვადასხვა ბუნებრივი

სტიქიური მოვლენა სწორედაც რომ წყალს უკავშირდება.

ღვარცოფი

ღვარცოფს ხშირი, გაბმული წვიმა და თოვლის დნობა იწვევს. ბუნების ეს მოვლენა თავს ატყდება მთისპირა

ადგილებს. ღვარცოფი ტალახში არეული ლოდების, ღორღისა და ხის მორებია. ის დიდი სიჩქარით მოდის მთიდან. ის ძალიან ძლიერია და ყველაფერს ანადგურებს გზაზე.

ზვავი



ზვავს დიდთოვლობა იწვევს, ზვავი საქართველოში ხშირია, განსაკუთრებით – სვანეთში. ზვავის დროს თოვლის დიდი მასა ჩამოიშლება ხოლმე.

წყალდიდობა

წყალდიდობა სტიქიაა.

წყალდიდობა ან თოვლის დნობისას ხდება, ან მაშინ, როცა ბევრი წვიმა მოდის.

წყალდიდობისას მდინარე დიდდება.

ცუნამი

ცუნამს ოკეანის ფსკერზე მომხდარი მიწისძვრა იწვევს. ფსკერზე მიწისძვრის შედეგად დიდი ტალღები ჩნდება და ნაპირზე გადმოდის. ცუნამის შედეგად

უამრავი ადამიანი იღუპება, ინგრევა სახლები.

დასკვნა

წყალი უმნიშვნელოვანესია ადამიანის, ცხოველების, მცენარეებისა და ფრინველების სიცოცხლისთვის. წყლის გარეშე სიცოცხლე არ იქნებოდა. წყალს უამრავი სარგებელი მოაქვს. მაგრამ მას გაფრთხილება სჭირდება.